

1945 საქართველო № 7

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

137
1945





საბავშვო ჟურნალი
მცირეწლოვანთათვის

№ 7

ა გ ვ ი ს ბ რ
1945

წელიწადი მებუთმებტ

ოქტომბრელი

საბავშვო მშრომელთა ალკა ცენტრალური
კომიტეტის ზრდადამსახურებელი

„Октябрьели“ ежемесячный детский
журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ
(საქართველოს კომუნისტური
პარტიის ცენტრალური საბავშვო
ოქტომბრელი)

გამომცემლობა
„კომუნისტები“

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 28
ტელ. 3-81-85

შ ი ნ ა ა რ ს ი

• ალექსო შენგელია — საუბარი ვაჟა-ფშაველას შვილს ნურთან (ლექსი)	1
• ნინო აღინაშვილი — თინას შელობილები (მთარბობა)	2
• იოსებ გრიშაშვილი — ყვავილების ედარება (ლექსი)	3
• სამა, ოთხი, ხუთი	3
• გორგი ივანიშვილი — ქალაქელი თაშაზი (მთარბობა)	4
• ვაჟა-ფშაველა — წიწილა (ლექსი)	5
• რა უფრო საყვარელია? (ხალხური ზღაპარი, დამუშავებული შოთა ძიძგურის მიერ)	6
• ნიკოლოზ ჩაჩავა — გოგის ჩურჩხელა (ლექსი)	7
• თაგვი და შამალი — (იტალიური ზღაპარი, გადმოქართულებული ემელიან გიორგაძის მიერ)	8
• მარგო თოშაძე — ილუ-ალუ (მთარბობა)	10
• მფრინავი ბაყაყი	10
• ლომი და კურდღელი — (ზღაპარი, გადმოკეთებული ბესო ქართველიშვილის მიერ)	11
• კ. გუგიაშვილი — კატა თავის რად ემტრებზე? (ზღაპარი ლექსად)	12
• ალექსეი ტოლსტოი — ნაჯახი (ზღაპარი, თარგმანი რუსულიდან)	13
• სამართლის ზარი (იგავი, თარგმანი ინგლისურიდან მიყვალა ყიფშიძისა)	14
• მოსწრებელი პასუხი	14
• ილია სიზარულიძე — გოგის ნინა (ლექსი)	15
• ლამურა — (ზღაპარი, თარგმანი პარმენ ჭანიშვილისა)	16
• სწრაფად მოფიქრებული სიტყვა	16
• შარაღა	გარეკ. მე 3
• ალისა ფრუიძე — გამოცანები	გარეკ. მე-3
• რუსული გამოცანა	გარეკ. მე 3
• რებუსი	გარეკ. მე 3
• ტუთოს წოკლე ფეხი აბია (ლექსი ილუსტრაციებით)	გარეკ. მე 4

გარეკანის 1-ლ გვერდზე სურათი — ვაჟა-ფშაველა მთიელ ბავშვებს უყვება შვილის წუკრის ამბავს. — სურათი შესრულებულია მხატვარ სევერიან კეცხოველის მიერ.

ჟურნალი გაფორმებულია მხატვრების: ლადო ავალიანის, სოსო ვაზაშვილის, სევერიან კეცხოველის, ნათელა იანჭოშვილის, მარკო დაუშვილის, ვახტანგ ერისთავის, სევერიან მიახაშვილის, ივლიტა გობაძისა და დავით ნაცვლიშვილის მიერ.

საუბარი ვაჟა-ფშაველას შელის ნუკრთან

მე მიამბეს: ობოლი ხარ,
მშობელს დანატრებული,
ვეელას შესთხოვე თავშესაფარს
თვალებაცრემლებული!

მოდით ჩემთან, შეგიფარო,
შეგიძმრალთ ცრემლები,
იცით, როგორ შეგიუფარებ,
როგორ მოგეფერებ!

მამხეში ფრანტსე იყო,
მტრები რომ ვაკეძირა,
იმ ვერაგებს თურმე სურდით
მეც შენსავით შეტირა.

ასლა მამა ჩამოვიდა,
დაუუკაცნე თვალები
და ვუთხარი, რომ ბედნიერს,
შენ ასე შებრალედი.

მოდით ჩემთან, კამარჯვების
სინარული გავიყოთ,
რომ არაფრის გეძინოდეს,
რომ ობოლი არ იყო!

ალექს. მინაშვილი



405



ნახატი კობეჯიძის

თინას შვილობილები

მოთხრობა

კარგად არ გათენებულეო, როცა დედამ თინა გააღიბა: ადეკი, რა ხანია შენი შვილობილები დაგეძებნენო!—თინა წამოხტა, პირი დაიბანა, წინსაფარში საკენკი ჩაიყარა და ეზოში ჩაირბინა.

— ჯუ-ჯუ-ჯუ... — გისმა თინას წკრიალა ხმა. ნაცნობი ხმის გაგონებისთანავე ეზოში ერთი ალიაქოთი ატყდა: კრიხით გამოიქცნენ დედლები, ვარიები, კრუხი წიწილებით. მამლაყინწამ მელიდურად დაიბერტყა ფრთები და ვასწრა მათკენ. ინდაურებმაც მოინდომეს სწვეოდნენ ქათმებს, მაგრამ თინამ ისინი მოშორებით მდგარ ვობთან შირეკა, სადაც მთათვის ღიქა და მტიტყლა ჰქონდა დაეპილი.

როცა თავისი შვილობილები დააპურა და დედა სამუშაოდ გაისტუმრა, თინამ კარმიდამო დააკრიალა, წყაროდან წყალი მოარბენინა, ხოლო როცა სახლის დაღვებაც მოათავა, თავისი მეგობრის ლალის ხმა მოესმა: თინა, ბალს ვკრეფთ და შეწვიეო.

— ახლავე, ლალი, ახლავე! — გასძახა თინამ, საქაროდ მარანში შევირბინა,

ლოქი გამოიტანა და ქათმებს გეჯაშე წყალი ჩაუსხა: ვინიცობაა დაგვიანებოდა, მის პატარებს წყურვილი არ ეგრძნობო.

შეე კარგა ხნის ვადასული იყო, როცა გოგონები ბალიდან დაბრუნდნენ, ყურებზე ბალის კუნწულები ჩამოეკიდათ და კისკისით იჭაურობას იკლებდნენ.

როცა თინა ეზოში შევიდა, ჩვეულებრივად არ მიეგებნენ პატარა, ბამბისქულა წიწილები. არც კრუხი გამოკრიახდა, არც მამალი ჩანდა თავის ყაყაჩოს გვირგვინით.

— მამალი აღზათ სადმე გადაფრინდა, — გათიქრა თინამ, — მაგრამ კრუხი ხომ ეზოს არ სცილდება ხოლმე!

როცა საქათმესთან მივირბინა, გულს შემოეყარა: მისი ნაცარა კრუხი და ლაბუა წიწილები უსუსლოდ, ეყარნენ მიწაზე.

თინა გეჯრა, არ იცოდა რა ექნა.

— ვაიმე, დედა! — ახლა კი ველოარ შეიკავა თავი თინამ და ტირილი შორათო:

— ჩემი ლაბუები, ჩემი ბამბის ქულები! სათითაოდ იღებდა უსუსლო წიწილებს, სინჯავდა და ჰკოცნიდა.

ყვებულების ვედრება

ძღვნიან ქეთი მღვიმელს

მცირე ხანს ვაშტერებული იდგა, შერე
მოაგონდა, ბუმბულს როგორ ავროვებდა
ხოლმე დედა. თინამაც ვააცალა კრუხს
ორი ბლუჯა ბუმბული. კრუხი თით-
ქოს შეწუხდა. თინას შეეცოდა ფრთოსანი
და გაშორდა.

როცა დედა სამუშაოდან დაბრუნდა,
თინამ ტირილით უამბო, როგორ დახვდნენ
დახოცილი თავისი შეილობილები. ბევრი
იფიშვიშა დედამ, შერე დასკვნა: —საწყლებს
ქირი ფუ! დაერიათო.

დიღხანს არ დაუძინა თინას იმ ღამეს.
ბორჯავდა, ვერ ისვენებდა. ძილშიაც სულ
წიწილებს უაღერსებდა, აქშევდა.

ღილით თინა უხასიათოდ აღდა.
ვინლა უნდა შემოსეოდა ვარშემო? ვინ-
ლა დაეპურებინა? ეს გაფხოარილი ინდაუ-
რები და ბაჯბაჯა იხეები დიდად არ უყ-
ვარდა.

დაღონებული თინიკო კიბზე ჩამოდიო-
და. უქანასქნელ საფეხურზე გაოცებისაგან
შედგა, თვალები მოიფშენიტა, სინმარში
ხომ არა ვარო: —ეზოში მისი ნაცარა კრუხბ
საწყალობლად დაკრიახობდა და ფრთებს
აფართხუნებდა, წიწილები გარეშემო უვ-
ლიდნენ, წიალობდნენ, თითქოს ვედარ
სცნობდნენ თავიანთ დედას, რომელსაც
წინა დღეს ფრთებქვეშ ბუმბული არ
აქლდა.

მარნის კარებში მდგარმა დედამ, თინას
ღიმილით უთხრა:

— სულ შენი ოინებია, შე ეშმაკო,
აქეიფე, გახა, შენი შეილობილები?!

თურმე ნუ იტყვი, თინას სინქარი
გეჯაში წყლის მაგივრად თეთრი ღვინო
ჩაესხა, მოწყურებული ქათმები დასწაფე-
ბოდნენ, გაბრუებულიყენ და ამიტომაც
შკვლრებივით ეყარნენ მიწასზე.

ღამის სიგრილეს ვამოეფხიხლებინა სა-
წყლები.

ნინო აღნიაშვილი

ნუ დაიკერ პეპელას:
შენს ხელში რომ მოხვდება,
დიღხანს აღარ იცოცხლებს,
უსათუოდ მოკვდება.
ახიზია... ვერ იტანს
ქარიშხალს და წვიმასა,
მოკლე დღე აქვს საბრალოს,
შენ კი უსპობ იმასაც!
დე, იფრინოს, ილალოს,
შესვას ტკბილი სურნელი,
ჩვენი სიხარულია,
ჩვენი კარგის მსურველი.
მეგობრები შენც ხომ გყავს,
მიჩნეული ტოლებად,
ჩვენ კი როგორ ვივარგოთ,
თუ ის არ გვეყოლება?
ჩამოვქნები და უფიბლოდ,
უმურახოდ დავრჩებით, —
ვიღამ ააცქრილოს
ჩვენი კობტა ფარჩები?
ო, ნუ იკერთ პეპელას:
თქვენს ხელში რომ მოხვდება,
დიღხანს აღარ იცოცხლებს,
უსათუოდ მოკვდება.

ი. გრიშაშვილი

სამი, ოთხი, ხუთი...

- დედა, დღეს არითმეტიკის გაკვეთილზე მასწავლებელმა შემაქო.
- მაშასადამე, წარმატება გაქვს?
- მო, წარმატება... მან იკითხა, რამდენი იქნება ორჯერ ორი?
- ერთობა ბიჭმა მიუგო: სამიო, მასწავლე-ბელმა—ცოტაო.
- მეორე ბიჭმა უთხრა: ხუთიო, მასწავლე-ბელმა—ბევრიაო.
- მე კი ვუთხარი—ოთხია მეთქი! მასწავლე-ბელმა სთქვა—სწორიაო.

ქალაქელი თამაზი

მოსწრობა

პატარა თამაზი წელს პირველად ჩავიდა სოფელში.

აყვავებულ ხეხილს აღტაცებაში მოჰყავდა თამაზი, მთელ დღეს სახლში არ ჩერდებოდა, დილიდან საღამომდის ბაღში დასეირნობდა.

ბევრი ახალი და საკვირველი რამ შეხვდა სოფელში.

აი, თუნდაც დეიდა მაროს ციკანი.

თამაზს უთხრეს, რომ ციკანი, რომელსაც კიკიბერას ეძახდნენ, ჯერ მხოლოდ ორი თვისაა, კიკიბერას დედა დაბტანუჯა კი შერეე ციკნის დედააო. უყვირდა თამაზს: ბებერ დაბტანუჯას კუბრივით შავი თმა და წვერი ესხა, ორი თვის კიკიბერას კი თმა-წვერი ისე გასთეთრებოდა, ოთხმოცი წლის ბაბუას ჰგავდა. უყვირდა თამაზს, მაგრამ არაფერს ამბობდა: ქალაქელი ვარ და არ დამციონოა.

ნახატი ფარნაოზ ლაპიაშვილისა



ერთ დღეს თამაზს ნამდვილად სასაცილო ამბავი შეემთხვა.

დეიდა მარომ ბაღში კიკიბერა გაატანა და უთხრა: ისეთ ადგილას დააბი, რომ ბაღაბს მისწვდეს და ნათესები კი არ გააფუქოსო.

წაიყვანა თამაზმა კიკიბერა, შესაფერისი ადგილი გამოიხაზა და „ბებერი“ ციკანი გრძელი თოკით ერთ ხეზე გამოაბა, თან თოკის სიგრძე შეამოწმა: ნათესებს არ მისწვდეს და არ წაახდინოსო.

— წაიღე, ციკანს გადუნაცვლე, — უთხრა შუადღისას თამაზს დეიდა მარომ.

წავიდა თამაზი ციკნის გადასანაცვლებლად და რას ხედავს!

კიკიბერას ხეზე შემოუხვევია თოკი მთლიანად, კისრით მიმღვრძეალა ზედ და ის ის არის უნდა დაიხრჩოს.

— ბოდიში, ჩემო კიკიბერა, მეტს აღარ ვიხამ, მომიტყევე მაგისტვის თავს რატომ იხრჩობდი, შე საკოდაო! — უთხრა თამაზმა ციკანს, თოკი შემოხსნა და გაუშვა.

კიკიბერამ ახლა ნარგავეებს გაუქროლა და ნეკერით პირი ჩაიგემრიელა.

დეიდა მარომ, როცა აოხრებული ნარგავეები ნახა საღამოს, ყვირილი მორაოა:

— უი, უი, დამიდგეს თვალები, როგორ შეიძლება თხის ასე გაშვება, ეს რა გიქნია, თამაზ, ეს რა გიქნია?!

თამაზმა თავი იმართლა:

— რა ქქნა, დეიდა, ეწუინა კიკიბერას, რომ დაეაბი, და გაბრანებულმა ჯიბრზე თავის დახრჩობა მოინდომა...

დეიდა მარო თან ხელებს იცემდა მუხლებზე და „უი, უიო“ გაიძახოდა, თან კი თამაზს საქციელზე ეტყნებოდა.

გიორგი ივანიშვილი

პაპა-მეგობარი

წიწილა

ქონდა წიწილა წაიღო,
იძხვდა „წიავ-წიავს!“
წიწილის თეთრი ბუბუღი
ფეხად ვაძქვინდა ნიავს...!
ისძვდა ბუბუნს უსაძი
კრუხის ქვითისი მწარია...
მოწლოდნენ მოკუთვები:
კრუხი, მამლეები, ვარია,—
ნათესაობა კრუხისა,
ძოელი იძისი ვვარია.
ცრემლი იქცევა ქათმების,
დიდი კლავა და ხარია.



რა უფრო საკვირველია?

ხალხური ზღაპარი

ნახატები დავიდ გუდიაშვილისა

ცხრა დევი ცხრა კამეჩს ხარშავდა. ამ დროს ერთმა ბიჭუნამ გამოიარა.

— რა კარგი ლუკმა მოგვემატაო, — ჩაილაპარაკეს დევებმა. ბიჭმა ამ სიტყვებს ყური მოჰკრა, ელდა ვცა, მაგრამ არ დაიბნა, მყისვე დაფიქრდა და თავის გადარჩენის ხერხი მოიგონა.

— თქვენზე უფრო დიდებული ქვეყანაზე ვინ იქნება, — გაბედულად მიმართა ბიჭმა დევებს, — ერთი სიტყვა მაქვს მოსახსენებელი. მამაჩემს ერთი იმოდენა ბულია ჰყავდა, შვიდ გორაზე ბუზებს კუდით იგერიებდა. ერთ დღეს ბულია გორაზე ბალახსა სძივდა, მოულოდნელად ვეებერთელა არწივი კლანჭებით ზურგზე დააფრინდა და მალლა წაიღო. მეორე გორაზე ერთი თხა ისვენებდა, — არწივმა ბულია იმის რქებს შუა მოათავსა და ძიძგნა დაუწყო. არწივი



არჩენდა შექცეოდა ბუღას ხორცს. ძვლები ხვრას რომ შეუდგა, უცაბედად გამოხრული ბეჭი გადმოუვარდა და თხას მარცხენა თვალში ჩაუვარდა. თხამ ერთი ალიაქოთი და დავიდარაბა შექმნა — თვლი მქეწვისო! შეიყარა საშველად მთელი სოფელი. ორმოცი უღელი ხარ-კამეჩი მოუბეს და ძლივსლა ამოუღეს ბეჭი საცოდავ თხას თვალიდან...

გავიდა დრო-ჟამი, მიწა და ხავსი მოეკიდა ამ უშველებელ ბეჭს, ზედ ხეები ამოვიდა და ირგვლივ სოფელი გაშენდა.

შარშან ზამთარში ერთი ცბიერი მელა მოკუნტულდა, გამოჰკრა კბილი და სულ ერთიანად გაახადგურა ეს სოფელი. მეზობელი სოფლის კაცები გამოუდგნენ აბეზარ მელას და ვაი-ვაგლახით ქვებით ჩაჰქოლეს. ეცადნენ, მაგრამ მეორე გვერდზე ვერ გადააბრუნეს, ცალ გვერდზე კი რაც ტყავი ჰქონდა, ააცალეს და იმ-



დენი ქული გამოიყვანეს, მთელ სოფელს ეყო...

რამდენიმე დღის შემდეგ იმ ადგილას, სადაც მკვლარი მელა ეგდო, ერთმა დედაკაცმა ჩამოიარა და თან გამალებით ბამბას ართავდა.

— ეს ტყავი რად შეუტოვებიათ მელასთვისო? — გაიკვირვა მან, შეუყენა თითისტარი, მელა მეორე გვერდზე გადააბრუნა, ააცალა ტყავი და თავის შვილს ქული გაუკეთა...

ახლა გამომგზავნა სოფელმა თქვენთან, რომ გვითხრათ: რა უფრო საკვირველია ამ ამბავში, — ჩვენ ეს ვერ გამოგვიცენიაო!

შეჰყენენ ცილობას დევები — არა ეს არის საკვირველი და არა ესაო! ისე გაცხარებული დავობდნენ, ეძგვრნენ ერთმანეთს და საშინელი ომი გამართეს.

რაკი ბიჭუნამ დევებს საქმე გაუჩინა, დრო იხელთა, გამოტრიალდა და ელვის სისწრაფით მოჰკურცხლა შინისაკენ, ისე რომ უკან არ მოუხედავს.

ასე მოსაზრებულად გადაიჩინა თავი ჭკვიანმა ყმაწვილმა.

დამუშავებული შოთა ძიძიგურის მიერ



კომის ჩურჩხულა

კომძი, კომძი კომძანა,
 მომეც დიდი ტომძანა,
 ბებოს მიურბენინებ,
 ბებო, არ მასწეინინებს,
 გამომიტანს ჩურჩხულას
 ამოდენას, ამხელას.
 თავს მოუკრავ ტომძანას,
 კომძი, კომძი კომძანა.
 ხურგზე წამოვიკიდებ,
 ვითომ მუიზად ვიუიდე.
 დიდ კვას გამოვტარებ,
 დაურიკებ ზატარებს:
 ბევრს შენ მოცეპ,
 ბევრს სხვას მიცეპ,
 ბევრსაც შე დავიტოვებ.

ნიკოლოზ ჩაჩავა

თ ა გ ვ ი ზ მ ა მ ა ლ ი ი

მამალი უღაპარი

ერთხელ მამალი სასკიროდ მიდიდა. გზაზე თავს შეხვდა. დამძობადნენ და გადაწყვიტეს ერთად ევლოთ საჭმლის საძოვრულად. მოამზადეს თოფრები და შევიდნენ კაკლას ტყეში. მამალი ხეზე აფრინდა კაკლის დასაბურტუად, ხალხი თავი ქვეით დარჩა კაკლების მოსაგროვებლად. მამალმა კაკლები ჩამოყარა. თავი უღაპელ კაკლას



ამტურედა და ჭამდა, ნაჭუჭს კი თოფრაში ურიდა. გავიდა ხანი და მამალი თავს შეეკითხა:

— გაივსო თოფრა?

— ჯერ კიდევ ბევრი კაკალია საჭირო, — უნახუს თავებს.

მამალმა განაგრძო გულმოდგინედ ბურტუვა, მკრამ არც ერთი კაკალი თოფრაში არ მიდიდა. ბოლოს სიღან ჩამოფრინდა, რათა ენახა, ხანძლის იყო მაინც მოყრილი თოფრა. მისვდა თავისი



შეგობარი დალატობდა, გაბრახდა და ისე მკრამ ჩაჭრა ნისკარტი, რომ თავს თავი გაუტედა და ტუნი გამოუნდა.

საცოდავმა თავმა ბოდიშის მოხდაც ვერ შესძლო, აქვითინდა და მოშორდა მამალს.

გზაზე ძაღლი შემოეყარა და უთხრა:

— ძაღლო, ძაღლო, მომეცი ცოტა ბაღანი, თავსე დავიდებ: მეგობარმა მამალმა გამიტყსა, ხეში წილი კაკალი რატომ შეჭამეო.

ძაღლმა უნახუსა:



— მე შინა, ზური მინდა.

თაკვი შეისვე მეჭურესთან განხდა და ტირილით უთხრა:

— მეჭურვე, მეჭურვე, მომეცი ზური, ზურს მიუტან ძღვლს, ძღვლი მომცემს ბაღანს, რომ დავიდო თავსე, რომელიც მეკობარმა მამაღმა გამიტყხა: ხეძი წილი კაკალი რატომ შეჭამეო.

— ზურს მოცემე, მხოლოდ შემა უნდა მთა მიტანო, — უპასუხა მეჭურემ.

საბრალო თაკვი გაეშურა ტეისკენ და ცოცხალმკვდარმა შეჭკვსეს:




— ტეეო, ტეეო, მომეცი შემა: შემას მიუტან მეჭურეს, მეჭურე მომცემს ზურს, ზურს მიუტან ძღვლს, ძღვლი მომცემს ბაღანს, ბაღანს დავიდებ თავსე, მამაღმა რომ გამიტყხა მისი წილი კაკლის შეჭმისათვის.

— წეალი მინდა, წეალი, — შრიალით უპასუხა ტეემ.

— მკვდარცოცხალი თაკვი მიფორთხდა მასლობელ მდინარესთან.

— მდინარეე, მდინარეე, მომეცი წეალი, წეალს მიუტან ტეეს, ტეე მომცემს შემას, შემას



მივცემ მეჭურეს, ის მომცემს ზურს, ზურს მიუტან ძღვლს, ძღვლი მომცემს ბაღანს, ბაღანს დავიდებ თავსე, მამაღმა რომ გამიტყხა მისი წილი კაკლის შეჭმისათვის.

— წაიდე, — უპასუხა მდინარემ.

საბრალო თაკვს თავისი მორჩენის იმედი მიეცა, განარებული მიეარდა მდინარეს, დალია წეალი და მოსუღიერდა. შემდეგ დაიწყო სმა ტეისთვის, რომ მოერწეა იგი. სვა და სვა, გაიბურა, კიდევ სვა, სვა და გასკდა.



აღუ-აღუ

მოთხრობა

მოხუცი ქალი ბაღში პატარა ბაიას დასაფრთხილებდა. ლამაზი იყო პატარა. ფუნთუშა ფაცხვით ჰქონდა, მავალივით შავ თვალებს აქეთ-იქით აცქირალებდა.

ბავშვები შემოეხვივნენ მას და ვალებრებოდნენ. ზოგი ხიბისას ეძახდა, ზოგი ღაღღას, ზოგიც კუსოს. ბოლოს რგზომ ჰკითხა მოხუც ქალს:

— რა ჰქვია პატარა ბაიას?
— არ ვიცი, — უბასუხა განგებ ქალმა, — თვითონ მას ჰკითხეთ და გეტყვით.
— ლაპარაკი რომ არ იცის? — გაიკვირვეს ბავშვებმა.

— თქვენ ჰკითხეთ და იქნებ ვიპასუხოთ, — უთხრა ღმილით მოხუცმა ცნობისმოყვარე ბავშვებს.

— რა გქვია, ცუგრუმელოვ? — თითქმის ზედ ყურთან შესძახა რგზომ.

რგზოს შეძახილები ერთი ციდა ფუნთუშა ბაიას ჩიტკით შეფრთხილდა.

მერე მიმოიხედა, პირი დაალო და გულის სიღრმეიდან ამოიძახა ერთი პატარა სიტყვა:

— აღუ!
ბავშვები კმაყოფილი დარჩნენ პასუხით. ზომ გავიგეთ, აღუ რქმევია! — გაიძახოდნენ ისინი.

— რა გვარი ხარ? — ჰკითხა ახლა

კულრაქა თინამ და თან თითები ლოყაზე მოუცაცუნა.

პატარას ეხამუშა თინიკოს მოაღერსება, უკმაყოფილოდ შეიშმუშინა, მერე ბაგე გაალო და, თითქოს გამწყარალმა, ისევ აღუ წამოიძახა.

— უ, ეს როგორ, სახელი და გვარი ერთი და იგივე აქვს თუ? — გაიკვირვეს ბავშვებმა.

— შენ დედიკოს რა ჰქვია? — ჰკითხეს თითქმის ერთხმად.

— აღუ! — სწრაფად წამოიძახა ბაიამ და თან, უკვე მოთმინებიდან გამოსულმა, მარჯვენა ხელი პირში ჩაიღო.

ბავშვებმა უკმაყოფილოდ გადახედეს ერთიმეორეს.

— შენ მაშინ რა ჰქვია? — აღარ გშვებოდა პატარას, მოუსვენარი თინიკო.

ბაიამ გაშალა ხელები, ერთი მაგრად გაიქიმა, სახე სულ მთლად გაუწითლდა სიბრაზისაგან, და რაც ძალია ჰქონდა შესძახა:

— აღუ, აღუ, აღუ!
— უ, ეს ვინ ყოფილა! — სთქვარგზიკომ და თან ამხანაგებს გადახედა: — თუთიყუშოვით სულ ერთსა და იგივე სიმეორებს.

ბაგამ მოხაბა

მფრინავი ბაყაყი

შორეულ ინდოეთში იავასა და ბორნეოს კუნძულებზე ცხოვრობს საოცარი ბაყაყი. იგი ბტის ხიდან ხეზე და ასე წადირობს მწერებზე. მას შეუძლია აგრეთვე გადაფრინდეს ხიდან ხეზე და ტოტიდან ჩამოფრინდეს მიწაზე.

ამ ბაყაყის თათის თითებს შუა გაჭიმულია აპკი, რომელიც ეხმარება ბაყაყს ჰაერში, და ამიტომაც იგი ეცემა მიწაზე ისე, რომ არ იმტვრევა.



ნაბატო ლალო გულიაშვილისა

ლომი და კურდღელი

ი ბ ა ვ ი.

ერთს უღრან ტყეში ცხოვრობდა ლომი. ყოველდღე, ნადირობის დროს, შიშის ხარის სცემდა მხეცებს: ერთს რომ თვითონ ჰკლავდა, ხუთი შიშით კვდებოდა. ვაწა-მებულმა მხეცებმა გადაწყვიტეს: ეჩინადან ნადირობის დროს ლომი ერთს ჰკლავს და ხუთი ნადირი კი შიშით კვდება, ამიტომ სჯობს წილი ვეაროთ და ვისაც შეხვდება, ის თვითონ მივიდეს ლომთანა.

შეთუთალეს ლომს, ჰყარეს წილი და კურდღელს ერგო.

— ეს სადაურია! — წამოიძახა ბაკიამ, — ლომმა რატომ ასე უწყალოდ უნდა გაგვაელოს მუსრი? სჯობს მოვკლათ!

— მოვკლათ?! — გაუკვირდათ მხეცებს.

— მაშ მოკურეთ, — სთქვა რიხით ბაკიამ და წავიდა.

მეორე დღიას ლომი იწვა თავის ბუნავში და უცდიდა თავის საუხუმეს. გავიდა ერთი საათი, ორი, სამი და ბოლოს გამოჩნდა ბაკია.

— სად იყავი აქამდე? — მრისხანედ რკითხა ლომმა.

— შე საუხუმე არა ვარ, — უთხრა კანკალით ბაკიამ, — შე სადილი ვარ, საუხუმედ კი მეორე კურდღელი მოდიოდა, გზაში შეგვხვდა. მეორე ლომი, ის კურდღელი შესანსლა, მე კი გამოვიქეცი, გზაში ფეხი ვიღრძე და ამიტომ დამაგვიანდა.

— მეორე ლომი? — დაიღრიალა ლომმა. — სად არის მეორე ლომი?

— წამოწყვეით და გაჩვენებთ, — მიუგო ბაკიამ და წინ გაუძღვა ლომს.

იარეს, იარეს და მიადგნენ ერთ ღრმა ჰკას.

— აი ამაში ცხოვრობს, — მიუთითა ბაკიამ.

ლომმა ჩაიხედა ჰკაში. წყალში თავის თავი დაინახა, ერთი საშინლად დაიღრიალა, ჩახტა შიგ და ჩაიხიჩო, ბაკიამ კი მხიარულად მოუსვა შინისკენ.

გადმოკეთებული ბ. ქართველიშვილის მიერ

კატა თავეს რად ემტერება?

ფლავიანი

ნახატები მარია ლაშველიას

თქვენ გსურთ გიჟობათ, პატარებო, კატა თავეს რად ემტერება? რისთვის დასდევს დასაქვრად, ბნელში რატომ ეპარება? მაშ გვიამბობთ:— ძველად თურმე თავეს და კატას ჰქონდათ შობა, და ჩვენს ფისოს თავუნების არ ჰქონია გულში შტრობა, ერთი სიტყვით, ერთმანეთში ჰქონდათ დიდი შეგობრობა. მაგრამ ერთხელ თავემა ღამით წვეულება გალიხადა, მეზობლები დაჰპატიჟა, ონავარი ფისოს ვარდა... უხვად ჰქონდათ თავლი, წაბლი და კეკალი კანმავარი, ხილი, თხილი მოგროვილი და ნამცხვარი მრავალგვარი. ამღერეს და იჭიციეს, ფერბულიც კი გაჩაღეს, მოიღვინეს მეზობლებმა: მასპინძელი უხვი ნახეს. მაგრამ უცბად მწყრალი ფისო სუფრის თავში წამოსკუპდა, თავლით დათერა, გაიხშორა,



ამღერდა და აკრუტუნდა, მაგიდაზე წამოწეა და გადაბრუნდა, გაღმობრუნდა... რა ჰქნას თავემა, საყვედურთ თავხედ სტუმარს როგორ უთხრას? ბოლოს ძლივსა გაუბედა: — რატომ მირცხვენ, ფისო, სუფრას? — მაგრამ კატამ ეშმაკურად უღოვაშებში ჩაიციხა, შემოსძახა: — „მიავ, მიავ!“ და კრუტუნში ჩაიძინა. თავუნამ სიტყვა: „მეზობლებო, პურმარბილი შეგვირცხვინა, ჩვენ სუფრაზე უკითხავად გამოთერა და დაიძინა! ხომ ყოფილა წუწკი ფისო უზრდელი და უსინდისო?“ — უპასუხეს: — მართალი ხარ, სასჯელს ველით საკარლისსო... მასპინძელმა მოჭიფეთ ყურში რაღაც უჩუჩუღო, ფეხზე დადგნენ თავები და მიგებარნენ მძინარს ჩუქაბ; კულში სტაცეს ფისოს ხელი, გადმოქაჩეს სწრაფად წინა, და თავენება ფისუნია



ნაჯახი

ზაპაპი

წავიდა ნაჯახი შეშახე, ჯირკვებს უკაუნებს, ხითხითებს:

— ჩემი ნებაა: მინდა მოვჩეხ, მინდა გვერდს აუვული, აქ მე ვარ ბატონ-პატრონი.

ტყეში კი არყისზე იზრდებოდა ბებერი ხეების გასახარად. დაინახა ნაჯახმა არყისზე და გაამპარტავნდა:

— ხუჭუჭავ, მე შენ შეგახუჭუჭებ: დაგიწყებ ჩეხვას, ნაფორები-ლა დაცვივლებიან. შეშინდა არყისზე.

— ნუ მომჭრი, ნაჯახო, მე წვიმა საპატარძლოდ მამზადებდა, მე სრცოცხლე მინდა. — აბა იტირე!

ოქროს ტრემლებით ატირდა არყისზე, ტრეტები დახარა.

გდაინახრახარა რკინის ნაჯახმა, ეძვრა არყისზე, ნაფორები-ლა დაცვივდნენ.

მოიღუშნენ ხეები და დაიწყეს ჩურჩული ბოროტ საქმეზე. ხმამ უღრან ტყიდან არყისხის ხიდმდე მიიღწია.

მოსჭრა ნაჯახმა, წაიქცა არყისზე და როგორც იყო დაწვა ხუჭუჭა ბალახში, ცისფერ ყვავილებში.

ჩააელო ხელი ნაჯახმა, შინისკენ გააქანა.

გზა კი ნაჯახს არყისხის ხიდზე აქვს გასავლელი.

ხილი კი მას ეუბნება:

— შენ ტყეში რატომ თავხედობ? ჩემს დებს რად სჩეხ?

— გაჩუმდი, ბრიყვო! — შეუღრინა ნაჯახმა. გავბრაზდები და შენც მოგჭრი.

არ შეიცოდა ხილმა ზურგი, დაიხკრიალა და ჩატყდა. ნაჯახმა ტყაპანი გააღინა და ჩაიძირა.


არყისზე კი მისცურავდა მღინარეზე ზღვისაკენ.

ძირს ბრაგენი მოადინა.
კატა უტბად გამოიკვია,
არც კი სურდა რამე ეთქვა,
ბასრი ბრჭყალი გამოსწია,
წამოხტა და თავგებს სდია.
მასპინძელი ყვირის: „ჩქარა,
უკან მოგვსდევს მეტიჩარა,
სოროებში შეასწართო,
ეს რა შავ დღეს შევესწართო!“
კატამ თავგებს სდია, სდია,
ერთი ხერელთან მიიშყვედია,
მასპინძელი დაიჭირა,
და კლანჭები მოუჭირა,
ჯერ ახტუნა და აწვალა,
ატრიალა, მთლად დაღალა,
და საცოდავს ადრე დილით,
თავი მოსჭრა ბასრი კბილით...
ეს ამბავი კატუნების
გვართ-გვართ ვადავიდა,
ბევრჯერ სთხოვეს შერიგება—
არაფერი არ გავიდა...
ახლაც, ფისო როცა წვება;
ფრთხილად არის, ფხიზლობს ძილშიც,
თავგებმა რომ არ ათრიონ,
კულს იცეცავს თათის ძირში...
ასე იყო... და ეს შუღლი
არ მოისპო, აღარ ქრება
და შიტომაც ამის შემდეგ
კატა თავგებს ეშტორება.

ქ. გომიბაველი



სამართლის ზარი



0 8 3 0

დიდხანის წინათ იტალიის ერთს სოფელში, ბაზრის მოედანზე, დიდი ზარი ეკიდა. მეფემ; ბრძანა მისი იქ დაკიდება, მერე ხალხი შეყარა და უთხრა:

— ამ ზარს სამართლის ზარი ერქმევა. თუ ვინმე უმართებულოდ მოგვეკათ,

ეს ზარი დარეკეთ, გავიგონებ მის ხმას თუ არა; ჩემს მსაჯულებს შევეკრებ და ყველაფერი გამოსწორდება.

ზარი დიდხანს იყო თავის ადგილას, სანამ მისი თოკი ვასციეთა ხანმა და ხმარებამ. გაცვეთილი თოკი ერთ დღეს ვილაკამ ვაზის ლერწით ვადააბა.

სოფელში იმ დროს ერთი მდიდარი მოხუცი რაინდი ცხოვრობდა. ანაღვანზრლობაში გულადი იყო და ხშირად ნადირობდა; მოხუცებულობაში გააძუნწდა. ბოლოს ისეთი ხელმოკერილი გახდა, რომ თავისი ბეზრეკა ცხენსაც აღარ აკმევდა. თავლიდან გამოავლო, რომ თავისი საზრდო თვითონ ეძებნა.

საწყალი პირუტყვი აქეთ-იქით დაეხეტებოდა უპატრონოდ. რა უნდა ეპოვნა; საკოდავს, სოფლის ქუჩებში იმდენი, რომ თავი დაექსაყოფილებინა?!

ერთ ზაფხულს, ნაშუადღევს, ხალხს სამართლის ზარის რეკა მოესმა, მსაჯული მაშინვე ბაზრისკენ გაეშურა.

(დასაბრუნო შე-15 ავერჯზე)

მოსწრებუდი პასუხი

სახალხო მატარებლის ერთ ვაგონში ფანჯარასთან ორი ხანშიშესული მგზავრი იჯდა ერთმანეთის პირდაპირ, ორივეს ბევრი ქვეყანა მოეცლო და ერთმანეთს თავიანთ შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ. ბოლოს ერთმა მობაასემ სთქვა:—უნგრელთა ქვეყანაში ისეთი დიდი კოპოსტო ენაზე, რომ აედრის დროს მის ქვეშ ათ ცხენოსანს თავისუფლად შეეძლო თავის შეფარებათ.

— არანაკლები საკვირველი სურათი ენაზე მეც, — სთქვა მეორემ. — ფინეთის ერთ ქალაქში

სამოცი მეჭვავებ სპილენძის ქვანს იყვებოდა. მითხრეს: ერთი ამდენი მყვებელი შიგნიდან ალაშაშებს ამ უხარმაზარ ქვანსო. ძლიერ გამოიკვირდა. ბევრდ მიმოგზაურთა და ასეთი რამ არსად შენახა.

— მერე რისთვის იყო გამოსადეგი ეს უშველებელი ქვაბი? — გაკვირვებით შეეკითხა პირველი.

— შენი ნახული კომბოსტოს მოსახარზავადო, — მიუგო მეორემ.

— ღის მოექცნენ უსამართლოდ? —
იკითხა გზაში მან. პასუხი ვერ მიიღო.
სამრეკლოს რომ მიიღწია, დანა-
ხა: საბრალო, შიშობლით ნახევრად მკვდა-
რი ცხენი ეწეოდა ვახის ლერწს, რომე-
ლიც ზარის თოკზე იყო დახვეული.

— ეხედავ, რაც აწუხებს, — სთქვა მსა-
ჯულმა, — ჯარად გვაუწყებს თავის გსა-
ქირს, პატრონს გამოუგდია და სამარ-
თაღს ეძებს.


ხალხი მოგროვდა ბაზრის მოედანზე.
ცხენის პატრონიც იქ იყო.

— ეს საკოდავი ბებერი ცხენი შეე-
ლასა გეთხოვს, — სთქვა მსაჯულმა. — დღე-
მდე ერთგულად ემსახურა თავის პატრონს,
დღეს კი, რაკი დაბერდა, პატრონს თავ-
ლიდან გამოუგდია, ქუჩაში ეძებე საქმე-
ლიო! რომელი ხართ ამ ცხენის პატრო-
ნი? კანონი მოითხოვს, რომ პატრონმა
იზარუნოს მისთვის და კვებოს ის.

მსაჯულის სიტყვებზე ყველამ ირგვლივ
მიმოიხედა: საკოდავი ცხენის პატრონს
ეძებდნენ. უკვირდით, ჩვენ შორის ვინ
იქნება ასეთი უჯულოო.

მდიდარ მოხუც რაინდს დიდად შერ-
ცხვა, წინ წამოდგა ცხენის წასაყვანად და
მისი მოვლა-პატრონობა იკისრა.

ინგლისურიდან სთარგნა მაცვალა ყიფშიძემ
ნახატები ვახტანგ ერისთავისა



გოგის ნანა

დაიძინე, ნანულიკო!
მე კი აკვანს წაგირწევ!
ფისუნამაც დაიძინა
და შურიკოც აგერ წევს!
მგონი მასაც ეძინება,
თვალი აქვს დახუჭული...
დაიძინე, გენაცვალე,
ნანი, ნანა, ნანული!
დაიძინე, შე ეშმაკო!
რა ვქნა, რად გეცინება?
თვალი ასე დახუჭე და
მალე დაგეძინება...
რომ აღგები, კაკალს მოგცემ,
შენთვის მაქვს შენახული!
დაიძინე, დაიკონა,
ნანი, ნანა, ნანული!
აი, უკვე დაგეძინა...
რა ქვიანი გოგო ხარ!
შენ იძინე, მე დაგხატავ.
აი, ისე, როგორც ხარ!
შემომხედ! ტანებს ვხატავ.
ეს მტრებია მოკლული!
ახლა ისევ დაიძინე!
ნანი, ნანა, ნანული!

ნიკო სინაპლიძე



ღამურა

ზღაპარი

ახლა ღამურა მხოლოდ ღამღამობით დაფრინავს, უწინ კი თურმე დღისით გამოდიოდა. ერთხელ თურმე ღამურა თავისთვის ტყისკენ მიფრინავს, უეცრად ქორი შეხვდა.

— აა, პატივცემულო, როგორც იყო, გიპოვე, სამი წელიწადია დაგეძებო.

— რისთვის დამეძებო?

— ყველა ფრინველმა თავისი პეგარა დიდხანია გადაიხადა, მარტო შენზეა დავალიანებაო.

— ჩემზე?— გაიკვირვა ღამურამ.— განა მე ფრინველი ვარ?

ჩაიმალა ბალახებში და გაიქცა.

— მართლაც ეს ოთხფეხი ცხოველიაო,

— გადაწყვიტა ქორმა.

მცუნცულდა ღამურა, სადაც ხშირი ფიქვანარია. იქ მელაა შეხვდა.

— გამარჯობა, პატივცემულო, სად დიკარგე, შეიღი წელიწადია დაგეძებო,— უთხრა მელამ.

— რისთვის დამეძებო?

— ყველა ოთხფეხმა ცხოველმა ბეგარა გადაიხადა, მარტო შენზეა დავალიანებაო.

— ჩემზე?— გაიკვირვა ღამურამ.— განა მე ოთხფეხი ცხოველი ვარ?

გაშალა ფრთები და გაფრინდა.

— ეს მართლაც ფრინველი ყოფილაო,— გადაწყვიტა მელამ.

ამის შემდეგ ღამურამ სიარულს თავი დაანება— მელას ირსად შეეხვედო. შიშისაგან ფეხები შეაბმა. დღისით ფრენასაც ვეღარ ბედავს— ქორის ეშინია.

სთარგმნა პარმენ კანიშვილმა

სწრაფად მოფიქრებული სიტყვა

სახელგანთქმული მეფე ერეკლე ერთხელ ლაშქრობიდან ბრუნდებოდა გამარჯვებული. დასასვენებლად წყაროსთან შეჩერდა, წყალი დალია და იქვე ლოდზე ჩამოჯდა. მეფეც და მხედრებიც მზიარულ ხასიათზე იყვნენ.

საკმაოდ რომ დაისვენეს, ერეკლემ სთქვა:— ვინც ლექსით მოახერხებს სამჯერ მითხრას „ქოს“, იმას კარგ საჩუქარს მიეცემა. წამოდგა ერთი ახალგაზრდა მხედარი და მოახსენა:

— ეს რა საკვირველი ვნახე, იხვი მოსდევს დნბლა ქორსა, სერზე კამეხს დაეტაკა ურქოხა და უჩლიქოხა, მღინარეში გადაეშვა, მოავლიჯა ღუბა ლოქოხა.

ერეკლეს გაეცინა, მოეწონა ეს სწრაფად მოფიქრებული სიტყვა და ახალგაზრდა მხედარი ვერცხლით მოკვდილი ხმლით დაასაჩუქრა.

შაკადა

ბამოსანები

თქვენ ამ ცხოველს ყველა იცნობთ,
ზოპარკში დაბაჯბაჯებს,
არის თაულის მოყვარული,
ქლივის დაათრევს მსუქან თათებს.
ამ ცხოველის სახელს მხოლოდ
შეუნახავთ პირველ ასოს,
ბიჭის სახელს მივუმატებთ
მოიგონეთ; ალბათ გახსოვთ.
ის სახელი „ოქტომბრელით“
ყველა თქვენგანს გაგიგიათ,
რატომ არის ცული ბავშვი,
ან მტირალა რისთვის ქვია.
და მიიღებთ ისეთ სიტყვას,
იმ დროს ქვეყნად ყველა დგება,
როცა მიდის ბნელი ღამე,
ის მის ნაცვლად გვევლინება.

რუსული გამოცანა

ერთ ფეხზე ხტის, ტრიალებს,
მღერის, ვიდრე ან დაეცემა, ნეტავ
რა იქნება? (ეშაყყვ)

(მედგენილი აღისა ფრუფის მიერ)

- 1) მიწაზე უსარგებლო ვარ,
წყალზე მზიდველად ვარგივარ,
არც ხელი მაქვს და არც ფეხი,
ორი ყავარჯნით დაედევარ. (ანეგ)
- 2) ღამე მოვალ და ტყე და ველს
მარგალიტით მოვრთავ,
მაგრამ მზე რომ დამაცხუნებს,
გადვიქცევი ორთქლად. (აყენი)
- 3) ქურდბაცაცას მეძახიან,
მოხადირეთ ქებულსა,
ვინც რძეს და ყველს არ მომაკლებს,
ის მოიგებს ჩემს გულსა. (მეც)
- 4) რქებზე თვალები მახია,
ზურგზე მაქვს ჩემი სახლ-კარი. (ეგუაჩაშაშ)
- 5) წვერცანცარა, ფეხბაკუნა,
კუნტრუშა და ეშმაკუნა. (ეგა)
- 6) კუდმოკლეა და მშიშარა,
ფეხმარდი, ყურებცქვეტია,
აგერ ბოსტანში შემფერალა,
კომბოსტო ჩაუკვნეტია. (ამშაშაშაშაშ)

კოხუშა



შეიკრიბნენ მეგობრები,
საუფარელი მეზობლები.
გიგამ, ვითომ დიდი იყო,
ისე დინჯად წამოიწყო:
— ამ ზღბულზე ჩემმა მამამ
ერთი თევზი მომიუყვანა.
სულ პატარა, ერთი ციდა,
ცეცხლს აფრქვევდა თვალებიდან.
მიუჩინეთ ქოლა ბინად.
მამამ ასე ამჯობინა.

მეორე დღეს ჩემმა მამამ
აგარაკზე წამოიყვანა.
რომ დავბრუნდი, თევზი ვნახე...
(შეიცვალა გიგამ სახე).
თევზი ისე გაზრდილიყო,
ქოლა მისთვის არკმარიყო.
მეზობელმა ჩემი თევზი,
ცხენზედ უფრო უდიდესი,
ვერსად რომ ვერ მოათავსა,
სკამზე დასვა მაგიდასთან.
— და მერე არ შეგაშინა?
— შეაჩერა გიგა თინამ.



— შემიწება რა? მიქვია,
სწრაფად, არც კი გაუგია,
მიფარდი და ხელი ვსტაცე,
დერეფანზე დავანარცხე.
ჩემმა ფისომ ჩემი თევზი,
ცხენზედ უფრო უდიდესი,
გემბრეილად, როგორც ფაფა,
სულ ერთ წუთში გადაულაპა.

— და ასეთი დიდი ფისო
ქვეყანაზე გაგონილა?
რაო გვატყუებ უსინდისოდ!
— შეაჩერა გიგა ილამ.
— შე გიამბეთ, თუ რაც ვნახე,
(გაუწითლდა გიგას სახე).
უცხად ქველამ გაიცინა
და კისკისი მორთო თინამ:
— ბიკო, თევზი უწყლოდ იყოს,
აბა, ეს სად გაგონილა?
...ჩვენმა გიგამ, მატყუარამ
სიწითლე რომ ვერ დაფარა,
ისე, არვის გაუგია,
ოთახიდან გაიპარა.



გამოუკვეთის № 71.

სტამბის შეკვ. № 1326

ტირაჟი 7.000

ფე 10576

ლ. პ. ბერაძის სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტა“ თბილისი, ლენინის ქ. № 28.
ფარადი ილუსტრაციები დაბეჭდილია სსსრ კვების მრეწველ. საბ. კომისარიატის ლითოგრაფიაში.

